“დინამო” (მინსკი) – “დინამო” (თბილისი) 2:1

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 22 ნოემბერი.

“დინამო” (მინსკი) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (2:1).

მინსკი: ვერგეენკო, ბოროვსკი, გოლოვნია, შარდიკინი (ბელოვი), შვეიკო, გოცმანოვი, სოკოლი (კონდრატიევი), პუდიშევი, პავლოვი, კურნევი, ვასილევსკი.

თბილისი: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მელიქია (თავაძე), დარასელია, სულაქველიძე, კაკილაშვილი, ჟვანია, შენგელია, ყიფიანი.

მსაჯი: ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებული არიან მელიქია, პუდიშევი.

დუბლიორთა მატჩი არ შემდგარა.

მატჩის დღეს მინსკში წვიმდა. იდგა ნისლი, დამძიმებული მინდორი საგრძნობლად უშლიდა ხელს მოთამაშეებს.

შეხვედრის დასაწყისმა წარმატება მოუტანა მასპინძლებს. მე–8 წუთზე კომბინაცია სოკოლი–გოცმანოვი–ბოროვსკი დამთავრდა ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით – 1:0.

რამდენიმე წუთის მერე ვასილევსკი ღია პოზიციაში აღმოჩნდა გაბელიას წინ და ახლო მანძილიდან მაღალ კუთხეში გაგზავნა ბურთი – 2:0.

ტაიმის დასასრულს მინსკელთა კარის სიახლოვეს დაინიშნა საჯარიმო. ყიფიანმა კარგად გადაუგდო ბურთი მეტოქეთა თავს ზემოთ შენგელიას და თბილისელთა საუკეთესო ბომბარდირმა საპასუხო გოლი გაიტანა – 1:2.

შესვენების შემდეგ სტუმრებს საკმაო ხანს ეპყრათ ტერიტორიული უპირატესობა, მასპინძელთა კართან რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შეიქმნა. ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ შენგელიას, ჩივაძეს, მაგრამ კარგად ითამაშა მეკარე ვერგეენკომ. მინსკელებმა შეინარჩუნეს გამარჯვება.

“ლელო”, 23 ნოემბერი, 1980 წ.